ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1729669

ნომერი: AR1284152

თარიღი : 05.02.2015

გაცემის თარიღი : 12.02.2015

გაცნობის თარიღი : 12.02.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი. აგლაძის ქუჩა 37;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით დიდიშვილი პ/ნ 62001039562
- სოხუმი არგუნ-კონოშოკის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მმიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. წარმოდგენილ ფოტომონტაჟში ხდება არსებული ხის გადაფარვა ასევე გაურკვეველია არსებული შენობის ფასადზე ეწყობა სარეკლამო მოცულობითი კონსტრუქცია თუ შენობის ფასადზე სარეკლამო აბრა, გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი ვარიანტი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, მიუღებელია ფანჯრის ღიობების (ვიტრინების) სარეკლამო აბრით სრულად (ათვისება) გადაფარვა სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის გაბარიტების შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა შემუშავდეს ახალი ფოტომონაჟი მასალისა და გაბარიტული ზომების მითითებით .

ამას გარდა საჭიროა ახალი განცხადების დარეგისტრირებისას საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი:

– ვინაიდან მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობები წარმოადგენს თანასაკუთრებას წარმოსადგენია შ.პ.ს. "კონცერნი კოდაკო"–ს დირექტორის თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებზე.

– გაურკვეველია თქვენი (მოქ. დავით დიდიშვილის) უფლებამოსილება. გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განმცხადებლის/თანაგანმცხადებლის სახით უნდა მომართოს შ.პ.ს. "წყლის და გაზის ტექნოლოგიები"–ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა (მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით) ან მისი მინდობილობა ატვირთული უნდა იყოს "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულების" ველში, იმ შემთხვევაში კი თუ თქვენ მოისაზრებით როგორც უფლებამოსილის პირი, ასეთ შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.